



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

მონეტროს კონვენცია და მისი მნიშვნელობა
საქართველოსთვის

ზურაბ ბატიაშვილი

160

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ზურაბ ბატიაშვილი

**მონტროს კონვენცია და მისი მნიშვნელობა
საქართველოსთვის**

160

2021



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2021 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

1936 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი მონტროს კონვენცია მკაცრად არეგულირებს შავ ზღვაზე არაშავიზღვისპირეთის ქვეყნების (მათ შორის, აშშ-ის) სამხედრო გემების ყოფნას – ზღუდავს მათ ტონაჟს (შესაბამისად იზღუდება რაოდენობაც), მათი გაჩერების ვადებს და ა.შ., რაც შავ ზღვაზე დასავლური ძალების შეღწევის პრობლემას ქმნის და ნეგატიურად აისახება საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე.

აღსანიშნავია, რომ კონვენციის ხელმოწერის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა იმავე შავ ზღვაზე – მოხდა მეორე მსოფლიო ომი, დასრულდა „ცივი ომი“, დაიშალა საბჭოთა კავშირი, წარმოიქმნა ახალი სახელმწიფოები – რუსეთი, უკრაინა და საქართველო, ხოლო რუმინეთი და ბულგარეთი ნატოში განწევრიანდნენ, რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა, თურქეთმა დასავლეთისგან დისტანცირება მოახდინა და ა.შ.

ასეთ სიტუაციაში ერთგვარ სამხედრო-პოლიტიკურ ანაქრონიზმად რჩება XX საუკუნის 30-იან წლებში ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ველარ პასუხობს ახალ მოთხოვნებს და რეალობას. მიუხედავად ამისა, ჯერაც პრობლემატურია მისი გადახედვის საკითხი, რადგან ეს მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

რა არის მონტროს კონვენცია?

„სრუტეების რეჟიმთან დაკავშირებული მონტროს კონვენცია“ არის მთავარი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც, ერთი მხრივ, ადასტურებს ანკარის სუვერენიტეტს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე¹ (ეს თემა მეტად სენსიტიურია თურქეთისთვის, რადგან ისტორიის მანძილზე მას სრუტეებს ხშირად ედავებოდნენ) და მეორე მხრივ, არეგულირებს სამხედრო გემების მოძრაობას.

რაც შეეხება სამოქალაქო გემების ტრანზიტს, ამავე კონვენციის მიხედვით, მათი თავისუფალი მოძრაობა სრულად გარანტირებულია მშვიდობიანობის პერიოდში.²

მონტროს კონვენციას ხელი მოაწერა 9 ქვეყანამ: თურქეთმა, საბჭოთა კავშირმა, ბულგარეთმა, საფრანგეთმა, საბერძნეთმა, იაპონიამ, რუმინეთმა, იუგოსლავიამ და დიდმა ბრიტანეთმა.³



ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები

ძირითადი ინფორმაცია მონტროს კონვენციის შესახებ:

1. მონტროს კონვენცია შედგება 29 მუხლის, 4 დანართისა და 1 ოქმისგან;
2. II-VII მუხლები შეეხება სავაჭრო გემების ტრანზიტს. მშვიდობიანობის პერიოდში სავაჭრო გემების მოძრაობა თავისუფალია;
3. VIII-XXII მუხლები შეეხება სამხედრო გემების ტრანზიტს;
4. თურქეთს ომიანობის ან აგრესიის საფრთხის შემთხვევაში უფლება აქვს დაკეტოს სრუტეები. ანკარას ასევე შეუძლია უარი განაცხადოს იმ ქვეყნების კომერციული გემების ტრანზიტზე, რომელთანაც თურქეთს ომი აქვს;
5. არაშავიზღვის ქვეყნებმა, რომლებსაც გემის გაგზავნა სურთ შავ ზღვაში, 8 დღით ადრე უნდა აცნობონ ამის შესახებ თურქულ მხარეს. ამასთან, თითოეული გემის ტონაჟი არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ტონას;⁴
6. შავ ზღვაში მყოფი არაშავიზღვის ქვეყნების გემების საერთო ტონაჟი არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ტონას (განსაკუთრებულ შემთხვევებში კი – 45 000 ტონას);

7. არაშავიზღვის ქვეყნების კუთვნილ სამხედრო გემებს შავ ზღვაში შეუძლიათ დარჩნენ არა უმეტეს 21 დღისა;
8. მხოლოდ შავი ზღვის ქვეყნებს შეუძლიათ სრუტეებში გაატარონ მსხვილი საბრძოლო ხომალდები (Capital ships), რომელთა ესკორტიც იქნება არა უმეტეს ორი გამანადგურებლისა (Destroyer);
9. შავი ზღვის ქვეყნებს ასევე აქვთ უფლება, წინასწარი შეტყობინებით სრუტეებში გაატარონ თავიანთი წყალქვეშა ნაგები;^{5,6}
10. ასევე ნებადართულია სამოქალაქო დანიშნულების თვითმფრინავების მოძრაობა ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის მხოლოდ იმ გზებით, რომლებსაც განსაზღვრავს თურქეთის მთავრობა.⁷

ასახავს თუ არა მონტროს კონვენცია დღევანდელ რეალობას?

ცხადია, მონტროს კონვენცია საგრძნობლად ზღუდავს შავ ზღვაზე არაშავიზღვის ქვეყნების სამხედრო ძალების შეღწევას. მასში არის მნიშვნელოვანი დათმობები საბჭოთა კავშირის მიმართ და ეს ბუნებრივია: კონვენცია გაფორმდა XX საუკუნის 30-იან წლებში და მასში ასახულია მეორე მსოფლიო ომის წინ რეგიონში შექმნილი რეალური გეოპოლიტიკური სურათი და მხარეთა ინტერესები.

აღსანიშნავია, რომ კონვენციის ხელმოწერის შემდეგ შავ ზღვაზეც ბევრი რამ შეიცვალა: მოხდა მეორე მსოფლიო ომი, დასრულდა „ცივი ომი“, დაიშალა კონვენციის ხელმომწერი ქვეყნები – საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია, წარმოიქმნა ახალი სახელმწიფოები – რუსეთი, უკრაინა და საქართველო, ხოლო რუმინეთი და ბულგარეთი ნატოში გაწევრიანდნენ, რუსეთმა ყირიმის ანექსია და აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა, თურქეთი დასავლეთისგან დისტანცირდა და ა.შ.

ასევე საფუძვლიანად შეიცვალა სამხედრო ინდუსტრია. ქვეყნებმა უფრო დიდი ზომისა და ტონაჟის სამხედრო გემების წარმოება დაიწყეს.⁸ შესაბამისად, მონტროს კონვენცია ამ თვალსაზრისითაც მოძველებულია.

ამრიგად, დღეს ბევრი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მონტროს კონვენცია გასული საუკუნის 30-იანი წლების რეალობის გათვალისწინებითაა შექმნილი, რომელიც, ცხადია, აღარ შეესაბამე-

ბა დღევანდელობას და საჭიროა მისი გადახედვა.

ამასთან, რამდენადაც კონვენციის ხელმომწერ და სამართალმემკვიდრე ქვეყნებს შავ ზღვაზე განსხვავებული ინტერესები აქვთ, მის რეფორმირებაზე საფუძვლიანი მსჯელობის დაწყება ვერ ხერხდება.⁹

შესაძლებელია თუ არა კონვენციის პირობების გადახედვა?

როგორც ზემოთ ითქვა, მონტროს კონვენცია ყველა თვალსაზრისით მოძველებულია. ნორმალურ სიტუაციაში მხარეები დასხდებოდნენ და ახალი რეალობის გათვალისწინებით დაიწყებდნენ მოლაპარაკებებს მისი გადახედვის თაობაზე,¹⁰ რაც ეს დღემდე ვერ მოხერხდა. დიდი ხნის განმავლობაში ანკარაში მიაჩნდათ, რომ კონვენციის პირობების გადახედვის სურვილი დაემსგავსებოდა პანდორას ყუთის გახსნას, რომელიც არავინ იცის, რა შედეგით დასრულდებოდა. ასეთივე მიდგომა ჰქონდათ კონვენციის ხელმომწერ სხვა ქვეყნებსაც, რომლებიც უფროთხოდნენ ბევრ შესაძლო გართულებას, მათ შორის, ფინანსური ხარჯების შემოღების საკითხს.¹¹

თავად კონვენციის პირობების მიხედვით, ხელშეკრულება დადებულია 20 წლის ვადით. თუ ხელმომწერ მხარეებს აღარ აკმაყოფილებს კონვენციის პირობები, მათ შეუძლიათ მოახდინონ მისი დენონსაცია (წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტომატურად ხდება კონვენციის ვადის გაგრძელება).¹²

დენონსაციის თაობაზე განცხადების გაკეთებიდან ორი წლის შემდეგ მონტროს კონვენცია ძალას კარგავს. შესაბამისად, მხარეებმა უნდა დაიწყონ მოლაპარაკებები ახალი ხელშეკრულების დადების მიზნით, თუმცა აქაც დაცული უნდა იყოს მონტროს კონვენციის პირველ მუხლში განცხადებული „ტრანზიტისა და ნავიგაციის თავისუფლების პრინციპი“.¹³

იმის გამო, რომ კონვენციას ბევრი ხელმომწერი მხარე ჰყავს, რომელთა ინტერესები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, სრუტეებში მოძრაობის რეჟიმში მცირედი ცვლილების შეტანაც კი ძნელი საქმეა. მაგალითად, 1994 წლის ნოემბერში ძალაში შესულმა „გაეროს კონვენციამ საზღვაო სამართლის შესახებ“ (UNCLOS) წარმოშვა მონტროს კონვენციის ახალი რეალობების გადახედვის მოთხოვნა. მაგრამ თურქეთი არ მიუერთდა გაეროს

ზემოხსენებულ შეთანხმებას, რაც ნიშნავს, რომ უცვლელად დარჩა ძალაში მონტროს კონვენციით განსაზღვრული პირობები.¹⁴

აღსანიშნავია, რომ თურქეთის მიდგომები მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო წლებში, როდესაც ანკარამ უფრო აქტიური და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო.

ეს ცვლილებები თურქეთის საგარეო პოლიტიკის ბევრ მიმართულებას (სირია, ლიბია, ერაყი, ყარაბაღი და ა.შ.) და მათ შორის, შავ ზღვასაც შეეხო, სადაც ანკარა ძალზე აქტიურად უჭერს მხარს (სამხედრო თვალსაზრისითაც) უკრაინას რუსეთთან დაპირისპირების საკითხში და ამ მხრივ არც მოსკოვის გალიზიანებს ერიდება.¹⁵

რამდენიმე წლის წინ თურქეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ აპირებს გრანდიოზული და ამბიციური პროექტის – Kanal Istanbul-ის განხორციელებას, რომელიც გულისხმობს ბოსფორის სრუტის პარალელურად 45 კმ-იანი ხელოვნური არხის გაყვანას შავ და მარმარილოს ზღვებს შორის. ამან კი შესაძლოა ანკარას უფრო მეტი დამოუკიდებლობა მიანიჭოს შავი ზღვაზე გასასვლელი გზების კონტროლის თვალსაზრისით.¹⁶



Kanal Istanbul-ის პროექტი

თურქეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბინალი ილდირიმმა 2018 წლის იანვარში განაცხადა, რომ Kanal Istanbul-ი არ დაე-ქვემდებარება მონტროს კონვენციის რეჟიმს.¹⁷

მოგვიანებით მსგავსი განცხადება გააკეთა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმაც. მაგრამ პრეზიდენტმა დეტალების დაზუსტების გარეშე იქვე დასძინა, რომ ისინი „ამ საკითხს გადაწყვეტენ“.¹⁸

ცხადია, ამ განცხადებებმა რუსული მხარის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია,¹⁹ რადგან მონტროს კონვენცია მნიშვნელოვნად ზღუდავს სხვა ქვეყნების სამხედრო ყოფნას შავ ზღვაზე და ეს გარემოება რუსეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყირიმის ანექსიისა²⁰ და საქართველოს რეგიონების ოკუპაციის შემდეგ.

სულ ბოლოს თურქეთისთვის მონტროს კონვენციის გადახედვის შესაძლებლობა დღის წესრიგში დადგა 2021 წლის აპრილში, რუსეთ-უკრაინის დაძაბულობის პიკისა და ამ კონფლიქტში ანკარის მიერ კიევის მხარდაჭერის შემდეგ, რასაც მოსკოვის გალიზიანება მოჰყვა.

შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ რუსეთ-უკრაინის კრიზისის ზენიტში თურქეთში მიანიშნეს, რომ ანკარამ შესაძლოა გადახედოს მონტროს კონვენციის პირობებს, რის მიხედვითაც იზღუდება არაშავიზღვისპირა ქვეყნების (პირველ რიგში, აშშ-ის) სამხედრო გემების ყოფნა შავ ზღვაში.²¹

2021 წლის 4 აპრილს აღნიშნული ინიციატივის წინააღმდეგ გამოვიდა 104 ყოფილი თურქი ადმირალი, რომელთაგან 14 (მოთავეები) მალევე დააკავა თურქეთის ხელისუფლებამ.²²

საინტერესო ფაქტია, რომ ეს ადმირალები ე. წ. „ევრაზიონისტები“ არიან, რომლებიც თურქეთის როლს ხედავენ რუსეთსა და ჩინეთთან ერთად და არა – დასავლეთის მოკავშირედ.²³

ამ საკითხთან დაკავშირებით თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა 5 აპრილს გამოხატა საკუთარი პოზიცია. მან აღნიშნა: „ჩვენ ამ მომენტისთვის არ ვმუშაობთ და არც სურვილი გაგვაჩნია გამოვიდეთ მონტროს კონვენციიდან. მაგრამ ჩვენ არ ვიყოყმანებთ არც ერთი იმ ხელშეკრულების გადახედვისას, რომელიც უკეთესია (პირობები) ჩვენი ქვეყნისთვის, თუ ასეთის საჭიროება გაჩნდება მომავალში“.²⁴

პრეზიდენტმა ერდოღანმა იქვე დასძინა, რომ Kanal Istanbul-ი გვერდს აუვლის მონტროს კონვენციას, რომლის საშუალებითაც „თურქეთი მიიღებს ალტერნატივას, რომელიც სრულად იქნება მისი სუვერენიტეტი და მონტროს კონვენციის მიღმა.“²⁵

რუსეთ-უკრაინის დაძაბულობის, ასევე აშშ-ის მხრიდან „სომეხთა გენოციდის“ მოსალოდნელი აღიარების მოახლოებისა და დასავლეთთან ანკარის ურთიერთობების დალაგების საჭიროების გათვალისწინებით, მონტროს კონვენციის შესაძლო გადახედვის თაობაზე დანყებული საუბრები იყო თურქეთისგან აშშ-ისთვის გაგზავნილი ერთგვარი შეტყობინება, სადაც იგი მზადყოფნას გამოთქვამდა დასავლეთთან ეთანამშრომლა ისეთ სენსიტიურ საკითხზეც კი, როგორცაა მონტროს კონვენციაა.

ეს თურქული შეტყობინება დასავლეთმა უპასუხოდ დატოვა, რადგან ბაიდენის ადმინისტრაციას ანკარის მიმართ ტრამპისგან განსხვავებული მიდგომა აქვს.

სამაგიეროდ, ეს მესიჯები უყურადღებოდ არ დარჩენიანთ კრემლში. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ამ განხილვების დანყებიდან მალევე, 9 აპრილს, დაურეკა თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს და პირველი, რაც ჰკითხა, მონტროს კონვენციის შემდგომი ბედი იყო.²⁶

ცხადია, რუსული მხარე კონვენციის გადასინჯვის შესაძლებლობას შემოთავაზებით უყურებს, რადგან ამით შესაძლოა გაიზარდოს დასავლეთის სამხედრო ძალების ყოფნა შავ ზღვაზე.²⁷

ამ საკითხში ბევრი სხვა ბუნდოვანებაცაა. მაგალითად, მონტროს კონვენცია ეხება ორივე სრუტეს (ბოსფორს და დარდანელს), მაგრამ ახალი ხელოვნური არხი Kanal Istanbul-ი თუ აიგო, იგი მხოლოდ ბოსფორის სრუტეს ჩაანაცვლებს. ამ შემთხვევაში ჯერჯერობით ბუნდოვანია, რა იქნება დარდანელის სრუტესთან დაკავშირებით.

მონტროს კონვენცია და საქართველო

მონტროს კონვენცია პირდაპირ უკავშირდება საქართველოს უსაფრთხოებას, რამდენადაც ეს დოკუმენტი მნიშვნელოვნად ზღუდავს დასავლელი მოკავშირეების (უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის) სამხედრო ყოფნას შავ ზღვაზე და აბრკოლებს საქართველოს სამ-

ხედრო (უპირველეს ყოვლისა, სამხედრო-საზღვაო სფეროში) კავშირებს დასავლეთთან.

შეერთებულ შტატებშიც კარგად ათვისებულნი იყვნენ, რომ მონტროს კონვენციის მკაცრი პირობები სერიოზული ხელშემშლელი ფაქტორია შავ ზღვაზე ამერიკული სამხედრო ყოფნისთვის.²⁸

მონტროს კონვენცია რომ სერიოზული პრობლემაა, რეალურადაც უკვე არაერთხელ გამოჩნდა. ყველაზე ნათელი მაგალითი იყო რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი, რომლის დაწყების შემდეგ აშშ-ს სურდა თავისი ორი ჰოსპიტალური გემის შემოყვანა შავ ზღვაზე საქართველოსთვის დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ ამ გემების საერთო ტონაჟი აღემატებოდა 69 000 ტონას, რის გამოც თურქეთმა არ გასცა მათი ტრანზიტის ნებართვა.²⁹

გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში ანკარაზე სერიოზულ ზეწოლას ახორციელებდა ვაშინგტონიც (გემების გატარების მოთხოვნით) და მოსკოვიც (არგატარების მოთხოვნით).

საბოლოო ჯამში, თურქეთმა არ დაარღვია მონტროს კონვენციის პირობები და ამ ორი დიდი გემის ნაცვლად შავ ზღვაში შემოვიდა 3 შედარებით პატარა ამერიკული სამხედრო გემი, რომლებმაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჰუმანიტარული დახმარება ჩამოიტანეს საქართველოს პორტებში.³⁰

დასკვნა

- მონტროს კონვენცია მოძველებულია. იგი გადახედვას საჭიროებს, თუმცა მოცემულ ეტაპზე შექმნილი საერთაშორისო სიტუაცია არ იძლევა ცვლილებების სწრაფად განხორციელების შესაძლებლობას;
- მონტროს კონვენციის შემდგომი ბედი ბევრად იქნება დამოკიდებული თურქეთ-რუსეთისა და თურქეთ-დასავლეთის (უპირველეს ყოვლისა – ანკარა-ვაშინგტონის) ურთიერთობების ხარისხზე;
- თუ მოხერხდა დასავლეთისა და თურქეთის დაახლოება, მაშინ შესაძლებელი იქნება მონტროს კონვენციის გადახედვის მოთხოვნა უფრო რეალისტური გახდეს. თურქეთს ამ საკითხში აუცილებლად დასჭირდება დასავლეთის მხარდაჭერა მოსალოდნელი რუსული ზეწოლის გასაწინააღმდეგო;

- მონტროს კონვენცია მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც, რადგან იგი პირდაპირ ეხება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გარემოს. კონვენცია სერიოზული ხელშემშლელი ფაქტორია შავ ზღვაზე ნატოსა და, ზოგადად, დასავლეთის სამხედრო აღმშენებლობის მიმართულებით. ამიტომ მისი გადახედვა საქართველოს ინტერესებშიცაა;
- სასურველია, ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ჰქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ოფიციალური პოზიცია;
- ასევე მნიშვნელოვანია, რომ თბილისმა, აღნიშნულ საკითხზე პოზიციების შეჯერებისა და კოორდინაციის მიზნით, დასავლელ პარტნიორებთან და, უპირველეს ყოვლისა, შეერთებულ შტატებთან გამართოს პოლიტიკური კონსულტაციები;
- რამდენადაც საქართველო საზღვაო ქვეყანაა და მუდმივად დასჭირდება საკუთარი ინტერესების დაცვა ამ მიმართულებით, სასურველია ქვეყანაში უფრო მეტი ყურადღება მიექცეს საერთაშორისო საზღვაო სამართლის სპეციალისტების მომზადებას.

შენიშვნები

1. Montreux Convention Regarding the Regime of the Straits, https://en.wikipedia.org/wiki/Montreux_Convention_Regarding_the_Regime_of_the_Straits
2. Montreux Convention Regarding the Regime of the Straits, https://en.wikipedia.org/wiki/Montreux_Convention_Regarding_the_Regime_of_the_Straits
3. Montreux Convention Regarding the Regime of the Straits, https://en.wikipedia.org/wiki/Montreux_Convention_Regarding_the_Regime_of_the_Straits
4. CONVENTION CONCERNANT LE REGIME DES DETROITS SIGNEE A MONTREUX LE 20 JUILLET 1936, REPUBLIQUE DE TURQUIE, MINISTERE DES AFFAIRES ETRANGERES, RAPPORT ANNUEL SUR LE MOUVEMENT DES NAVIRES A TRAVERS LES DETROITS TURCS, 2014 78ème année ANKARA, Décembre – 2015, https://www.mfa.gov.tr/site_media/html/montr-o-bogazlar-raporu-2014.pdf
5. Dilek Barlas, Etatism and Diplomacy in Turkey, pp. 166–170. BRILL, 1998.
6. Robin Rolf Churchill, Alan Vaughan Lowe, The law of the sea, p. 115. Manchester University Press, 1999.
7. Jozef Goldblat, Arms control: the new guide to negotiations and agreements, pp. 175–177.
8. MEHMET ÖĞÜTÇÜ, Revising the Montreux Convention, <https://www.hurriyetdailynews.com/opinion/mehmet-ogutcu/revising-the-montreux-convention-130148>
9. ზურაბ ბატიაშვილი, „თურქეთი და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი“, უსაფრთხოების მიმოხილვა, 2021, <https://www.gfsis.org/files/library/pdf/%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%93%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2941.pdf>
10. MEHMET ÖĞÜTÇÜ, Revising the Montreux Convention, <https://www.hurriyetdailynews.com/opinion/mehmet-ogutcu/revising-the-montreux-convention-130148>
11. MEHMET ÖĞÜTÇÜ, Revising the Montreux Convention, <https://www.hurriyetdailynews.com/opinion/mehmet-ogutcu/revising-the-montreux-convention-130148>
12. 1936 CONVENTION REGARDING THE REGIME OF THE STRAITS Adopted in Montreux, Switzerland on 20 July 1936, <https://cil.nus.edu.sg/wp-content/uploads/formidable/18/1936-Convention-Regarding-the-Regime-of-the-Straits.pdf>
13. Aron Lund, An Unconventional Canal: Will Turkey Rewrite the Rules for Black Sea Access?, Swedish Defence Research Agency, <https://www.foi.se/rapportsammanfattning?reportNo=FOI%20Memo%207528>
14. MEHMET ÖĞÜTÇÜ, Revising the Montreux Convention, <https://www.hurriyetdailynews.com/opinion/mehmet-ogutcu/revising-the-montreux-convention-130148>

15. ზურაბ ბატიაშვილი, „თურქეთის როლი 2021 წლის გაზაფხულზე მიმდინარე რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებაში“, „უსაფრთხოების მიმოხილვა“, 2021, https://www.gfsis.org/files/library/pdf/%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98-2990.pdf?fbclid=IwAR1NlyoT8gXbsohVq04ZgfRkGm9_9tRPKi-MyVS_Wv7M2lZzBYTQ9U9angl
16. “Erdogan’s Dream, Istanbul’s Nightmare“, en.qantara.de/content/the-istanbul-canal-project-erdogans-dream-istanbuls-nightmare Retrieved December 27, 2020.
17. Paul Gone, “Moscow Worried about Ankara’s Plans for Canal Bypassing Bosphorus Strait“, jamestown.org/program/moscow-worried-about-ankaras-plans-for-canal-bypassing-bosphorus-straits/ Retrieved December 27, 2020.
18. Ali Tuygan, The Montreux Convention: Russia’s Perspective, <https://edam.org.tr/en/the-montreux-convention-russias-perspective>
19. Ali Kucukgocmen and Jonathan Spicer, “Factbox: Erdogan pushes ‘crazy’ Istanbul canal dream despite opposition” December 27, 2019, Retrieved December 27, 2020. reuters.com/article/amp/idUSKBN1YV15U
20. Alexy Zender, Is there a possibility of leaving the Montreux Convention?, <https://behorizon.org/is-there-a-possibility-of-leaving-the-montreux-convention>
21. ზურაბ ბატიაშვილი, „თურქეთის როლი 2021 წლის გაზაფხულზე მიმდინარე რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებაში“, „უსაფრთხოების მიმოხილვა“, 2021, https://www.gfsis.org/files/library/pdf/%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98-2990.pdf?fbclid=IwAR1NlyoT8gXbsohVq04ZgfRkGm9_9tRPKi-MyVS_Wv7M2lZzBYTQ9U9angl
22. All retired Turkish admirals involved in Montreux declaration released, <https://www.dailysabah.com/politics/all-retired-turkish-admirals-involved-in-montreux-declaration-released/new>.
23. კობა ლიკლიკაძე, „რა ბედი ელის შავ ზღვას მონტროს კონვენციის გარეშე?“, <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%95-%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A8%E1%83%94-/31188200.html>
24. Fehim Taştekin, Who benefits if Erdogan scraps key maritime treaty?, <https://www.al-monitor.com/originals/2021/04/who-benefits-if-erdogan-scraps-key-maritime-treaty>
25. Fehim Taştekin, Who benefits if Erdogan scraps key maritime treaty?, <https://www.al-monitor.com/originals/2021/04/who-benefits-if-erdogan-scraps-key-maritime-treaty>
26. Putin underscores importance of Montreux Convention preservation to Erdogan, <https://tass.com/politics/1276201>

27. ზურაბ ბატიაშვილი, „თურქეთი და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი“, „უსაფრთხოების მიმოხილვა“, 2021, <https://www.gfsis.org/files/library/pdf/%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%93%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2941.pdf>
28. Jason, Ditz (16 February 2017). “NATO Seeks Further Buildup in Black Sea, Eastern Europe”. Antiwar.com. Retrieved 13 November 2019.
29. Bülent Gökççek, The Montreux Convention regarding the Turkish Straits and its importance after the South Ossetia War, https://calhoun.nps.edu/bitstream/handle/10945/4858/09Mar_Gokcicek.pdf?sequence=1&isAllowed=y p. 48-49
30. Bülent Gökççek, The Montreux Convention regarding the Turkish Straits and its importance after the South Ossetia War, https://calhoun.nps.edu/bitstream/handle/10945/4858/09Mar_Gokcicek.pdf?sequence=1&isAllowed=y p. 48-49